



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 59  
30/08/2019

59-09-4-201908301419



**ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გიორგი მარგალიტაშვილს (პ/ნ 20001053015) გაუგრძელოს ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.31.300) შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობების (საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 1 (ერთი) წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

